სახალხო გაზეთი

№ 943 კვირა, 14 ივლისი 1913 წ. № 943

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დანაქვეთი პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., ხარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 3 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ.
ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და საალიტერატურო გამოცემა

სახალხო გაზეთი

უოველკვირეული სურათებიანი დამატებით

პირველი მკითხველიდან წლის დამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქს გარედ ღირს 4 მ. 50 კ.

თვეში ღირს 75 კაპ.

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

მისამართი: Тифлисъ, „Сахалхо газети" Почт. ящ. 190.

სამშაბათს, 16 ივლისს, გორის მაზრ. სოფ. **არბოში** წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი

გენერალ-ლეიტენანტ ილია საუკარელის ძის

მაკარაშვილის

გარდაცვალების წლის თავის გამო, რასაც იუწყება განსვენებულის ქვრივი **ნინო დურმიშხანის ასული მაკარაშვილისა.** წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. 433.

ახალი კლუბი
(საზაფხულო სადგომი)
კვირას, 14 ივლისს

საგანგებო საღამო

თამაშობა, სინემატოგრაფი და ცეკვა.
ბავშვებისათვის კლუბში შესვლა 15 კაპ.
დასაწყისი საღამოს 5 ს. - 9 საათამდე. 1358

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლთან
არსებულ ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის

გამგეობა

ამით აცხადებს, რომ **18 ივლისს, საღამოს 8 ს.,** „წრის" ბინაზე (მიხეილის ქუჩა, № 102), დანიშნულია „წრის" წევრთა **საზოგადო კრება**

განსახილველი კითხვები: 1) გამგეობის წევრთა და მისს კანდიდატთა დამატებითი არჩევნები. 1160

სათავად-აზნაურო ქალთა სკოლის

სამზრუნველო საბჭო

აცხადებს, რომ I, II და III განყოფილებებში და I, II და III კლასებში მისაღები გამოცდები დაიწყება **მარიამობისთვის 26-ს.**

ვაკანსიები ყველა კლასებშია. 1395

„თემი"-ს გამოცემა
ს. აბაშელის ლექსთა კრებული

„მზის სიცილი"

ავტორის სურათით და ბ. ივ. გომართლის კრიტიკული წერილით,

ფასი 50 კაპ.

ვინც გამოიწერს ფასდადებით არა ნაკლებ 10 ცალისა, მას დაეთმობა 25%, საკომისიოდ—20%.

1380 მისამართი: გაზ. „თემის" კანტორა, ოლგის ქ. № 4.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან.

ქსენიეევის ქუჩა, საკუთ. ხახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლოს.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 სწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მრსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.
	მაღალაშვილი ბ. ბ. სამშაბ. და შაბათობით 10—12.
	მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12½—.. ს.
	ფედორაოვი ე. გ. ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1.
	ექ.-ქალ. ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა. სამ., ხუთ., შაბ. 11—12
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკოვიჩი ვ. ლ.** კონსულტატი ყოველ დღე 11½—12½.
	მელიქიშვილი ნ. ა. ყოველ დღე 10—1.
	ფირადოვი რ. ბ. ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12.
	თიკანაძე ი. ე. ყოველ დღე 1—2.
	მელიქიშვილი ნ. მ. ყოველ დღე 10—1.
	სულაკოვი ა. ი. ყოველ დღე 1—1.
ბავშვთა სნეულ.	**ექ.-ქალ. ბაძრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½.
	მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12½—1.
	ფედორაოვი ბ. ს. ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ნერვიულ. სნეულებ. და ელექ.	**გედევანიშვილი. მ ა.** შაბათობით 10½—11.
	ჯავახიშვილი ნ. ნ. ოთხშაბ., პარას. და კვირას 11—12
	ფოდორაოვი ბ ს. ყოველ დღე 1—2
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½.
	ორემბოვსკი ნ. ს. ყოველ დღე 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
ყან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტეიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wasserman.** რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, **„606"** და **„914" წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. წ. 1035

ახალი კლუბი
(საზაფხულო შენობა)
კვირას, 14 ივლისს, 1913 წელს.

საოჯახო საღამო

წარმოდგენილ იქნება ქართული დრამატ. დასის მსახიობთაგან

I „**დარისპანის გასაჭირი**" ვოდ. დ. ჯლიანიშვილისა. | II **დივერტისმენტი**

დასაწყისი საღამოს 9½ საათზე.

წარმოდგენის შემდეგ **ცეკვა.** თეატრში შესვლა უფასოა.
სტუმრები კლუბში შესასვლელ ფასად იხდიან მამაკაცები 1 მან., ქალები 50 კაპ. სტუდენტები 25 კაპ. 1389

ჭიათურის
შავი ქვის მრეწველთა
საბჭო

იწვევს სატეხნიკო ან სახელოსნო სასწავლებელ დამთავრებულ პირს ჭიათურის სამოქალაქო სასწავლებლის საზეინკლო-სამჭედლო და სამთო-სატეხნიკო

განყოფილებების ინსტრუქტორად.

ნელიწადში ჯამაგირად ექნება
900 მან.

ოთხელ 5 წლის შემდეგ მოემატება ჯამაგირის 20 პროცენტი. მონაწილე იქნება შავი ქვის მრეწველთა საბჭოს მოსამსახურეთა შეშნახველ-გამსესხებელ კასაში.

თხოვნები შესაფერისი საბუთებით უნდა გამოგზავნოს ქუთაისში საბჭოს სახელზე.

1392

ახალი კლუბი
მუდმივ ყოველ კვირეულ გასართობთა წეს რიგი:
სამშაბათობით და შაბათობით
დაუკრავს „ახალ კლუბის" მიერ მოწყობილი
არტისტებისაგან შემდგარი

სიმფონიური ორკესტრი

ვ. ი. ზელიონის ლოტბარობით

სოლისტების მონაწილეობით: სკრიპკა—თავისუფალი ხელოვანი, კუსევეცკის ორკესტრის კონცერტ-მეისტერი **ბ. ი. კრეინინი,** ვიოლონჩელისტი—**ე. ნ. კოპელნიცკი** და გრაფ შერემეტიევის ორკესტრის არფა-არფისტი **ი. ა. პოლომარენკო.**

სამშაბათობით იქნება **სიმფონიური კრებული.** | **და შაბათობით** **ჩვეულებრივი კონცერტი.**

ორშაბათობით და **ოთხშაბათობით** საზაფხულო თეატრში გაიმართება

კინემატოგრაფის სეანსები და სიმფონიურ ორკესტრის სამუსიკო განყოფილება.

მცირე ორკესტრი ბაღში დაუკრავს 11 საათიდან ღამის 2 საათამდე.

პარასკევობით:
კინემატოგრაფის სეანსები და **სიმფონიურ ორკესტრის**
ორი განყოფილება ღამის 12 საათამდე. 12 საათის შემდეგ კლუბის დაკეტვამდე **დაუკრავს საზანდარი.**

ხუთშაბათობით.
საოჯახო საღამო-წარმოდგენები, ცეკვა და სამხედრო ორკესტრი.

კვირაობით. საბავშვო საღამოებს გაიმართება (საღამ. 5—9 საათამდე). სიმფონიურ და ჩვეულებრივ ორკესტრების დროს მუსიკის დაკვრის დასაწყისი სწორედ საღამოს 8-ნახევარ ს., კინემატოგრაფის სეანსების **დასაწყისი საღამოს 9 საათზე.** 1225

ტფილისის ქართული გიმნაზიის

დირექტორი

აცხადებს, რომ თანახმად გამგე-კომიტეტის დადგენილებისა, ამ წლის 1 ენკენისთვიდან სწავლის ფასად დაწესდა **მოსამზადებელს** კლასებში **ოთხი** თუმანი წლიურად, ნაცვლად სამის თუმნისა, და **საგიმნაზიო** კლასებში **ხუთი** თუმანი წლიურად, ნაცვლად ოთხის თუმნისა. მომავალის 1914 წ. 1 ენკენისთვიდან კი მე-V, მე-VI, მე-VII, მე-VIII კლასებში დაწესდება წლიურ გადასახადად **ექვსი** თუმანი. 1397.

პირველ-ხარისხოვანი

დიდი ცირკი
ძმ. ესიპოვსკეგისა

მიხეილის პროსპექტ., მუშტაიდის შესავლელთან, ნ. კუნდუხოვის ადგილზე, საკუთარი საზაფხულო გრილი სადგომი, ტრამვაი იქვე ჩერდება და შინ დაბრუნებისასაც მუშაობს.

დღეს, 14 ივლისს, 1913 წ.

4 „ეშმაკი"

პირველად კავკასიაში. დღისით, ბავშვებისათვის საგანგებოდ, ფასდაწეული წარმოდგენა. მიუხედავად დიდი ხარჯისა დღეს დილის წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებენ **4 ეშმაკი** და მთელი დასი. საღამო წარმოდგენა დაიწყება 2 ნახევ. საათზე, ბავშვების სიცინინობა უფასოდ პონეებით და ჯორებით.

საღამოთი მე-8 გასტროლი მთელ ქვეყანაში სახელგანთქმულებ სა, ჰაერში მფრენთა მეფეებისა **4 ეშმაკისა,** რომელთაც გააკვირეს მეცნიერი და მსახიობთა საზოგადოება, თავის გონებამეუდომელ ტრიალით.

ჩვენი სეზონის ბურჯი! ეჩქარეთ ნახოთ!

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

დირექცია **ძმ. ესიპოვსკეგისა** 434. გამგე: **ლ. მ. ხუნდაძე**

ტფილისის ქართული სათავად-აზნაურო გიმნაზიის დირექტორი აცხადებს, რომ ვაკანსიები არის **მხოლოდ პირველს მოსამზადებელს განყოფილებაში და IV, V და VI კლასებში.**

მისაღები ეგზამენები მხოლოდ ზემოაღნიშნულ კლასებში შემომსვლელთათვის და გადასასვლელი გიმნაზიის მოწაფეთათვის

დაიწყება
20 აგვისტოს V, VI და VII კლასებში
21 — IV „
23 — III „
24 — I—II „
28 — მოსამზადებელს განყოფილებაში.

პირველ მოსამზადებელს განყოფილებაში შემომსვლელთათვის ეგზამენები დაიწყება 28 აგვისტოს.

ის მოწაფენი, რომელთაც წარსული სასწავლო წლის ფასი გადახდილი არა აქვთ, გიმნაზიიდან დათხოვნილ იქმნებიან, თუ პირველ სექტემბრამდის არ შემოიტანენ სწავლის ფასს. 1396

გამოვიდა და იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში
ახალი სალიტერატურო—სამეცნიერო—კრებული

გვირგვინი

ფასი ერთი მანეთი

1. შოთა რუსთაველი, გრ. რობაქისა.
2. სუმერული ტ ქართული, მ. წერეთლისა.
3. ოჟიდიპოს მეფე, თარგმ. ბერძნულით ვ. ქავთარაძისა.
4. მეფე-მგოსანი, სანდრო შანშიაშვილისა.
5. ღამე, ს. ფირცხალავასი.
6. გლოვის ზარი, მისივე. 1371

ტფილისის ქართული სათავად-აზნაურო

გიმნაზიის კანცელარია

10 ივლისიდან ღიაა ოთხშაბათობით დილის 10 საათიდან 1 საათამდე. 1394

ამ წლის 14 ივლისს ვერის სამოქალაქო კარკში
გაიხსნა პირველ-ხარისხოვანი

რესტორანი

სამზარეულო ევროპიული და აზიური. არის საზღვარ-გარეთისა და ადგილობრივი სასმელები და ყოველ-გვარი გასაგრილებელი წყალი.

ფასი ზომიერია

აქედან სამაგალითო გადასახედია, ჰაერი საუცხოოა.

არის ცალკე კაბინეთები

ვაჭრობა ღამის 2—3 საათამდეა. ◆ პარკში შესვლა უფასოა. 1398

საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდების მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაგრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვადა,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1220

ექიმი **კბილისა** **არჩილ დოლიძე**

დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და განაახლა ავადმყოფ. მიღება ძველ ბინაზე (ნაძალადევ., ჩერქეზიშ. ქ. № 145). ყოვ.-დღ. 8—2 ს. 4—7 ს. 427

ექიმი **ვ. მუსხელიშვილი** 1 მარიამობისთვიდან მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

ვაგზლის კერძო
სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსამზადებელ ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

ბ. ა. მოპოლი. ყოვ. დღე, კვირის გარდა. ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.

ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ვ. ვ. კლდიაშვილი. ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტეოროლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მოორიგებით.

წამლობა „606"-ით 1035

სამკურნალო

სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა

გარეშე მოსარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მაზლობლად, ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.

ბელანუე. ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—1½ ს.

ა. ხუდაბაშევი. ბავშვ. შინაგანი ავადმ., ყოველ დღე 3—3 ს.

ბოფოვსკი. ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ., და პარასკ. 4—5 ს.

ვორობიოვი—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. სამშაბ., ხუთშაბ., შაბ. და კვირ. 4—5 ს.

გ. ნ. გეინაცი—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.

თაყაიშვილ. კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

ექ. ქალ. იოსელიანი. ქალური სნეულ. ორშ, ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.

კაპლამკაროვი. ბებია, ქალურის სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.

ლიმონი. კბილ. ექიმი. ყ.-დღე 11—1 ს.

ხაიდანოვი. ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.

ტ. ი. რუდენკო. შინაგან სნეულ. კონსულტატი. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.

თეთრაძე. სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.

ა. ბოდნევი—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ., და კვ., 4—5 ს.

პონდოლეევი. ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა, 11½—12½ საათ.

შამაში, სადოსტაქრო; ყ.-დღ., 1—3 ს.

ატენაანცი. ყელისა, ცხვირ., ყურ. და შინაგანი, 2—3 ს.

სათვალების არჩევა.

კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძებისდა მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wasserm an"-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1070.

ექიმი ე. ი. მინასიანცი იღებს **აბანოთუმანში.** შინაგან, ბავშვთა, სპეც. კუჭისა და ნაწლავთა ავადმყ. და საზრდოებ. (სისხლ ნაკლულ. შაქრის ავადმყ. სიმსუქნე, ლოთობა, ქარები) ჭლექ. და დამპალი ციება პარიზულ კლინიკ. პროფ. **Mathieu.** **იღებს** დილ. 9—11 ს., საღ. 5—7 ს. მისამართი: აბანთუმანი ტერ-მარქაროვის აგარაკი. 1071

დოქტორი მედიცინისა

გ. ა. ახვერდოვი,

პეტერბურგის სიფილისისა და ვენერიულ ავადმყოფობათა კლინიკის ყოფილი ორდინატორი, იღებს საშარდის, ვენერიულისა და სიფილისიან ავადმყ. დილ. 12—1 ს., საღ. 6—8 ს. **სემიონოვის ქ.,** № 18, (ეკორნოცოვის ძველის მახლობ.), ექიმ. ბინა—სემიონ. ქ., № 16. 1159

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 408

ექიმი კბილისა და ლრძილებისა ძ ა ჯ ა ი ა

იღებს ავადმყოფებს დილის 8-დან საღამოს 7 საათამდე.

ვაგზლის ქუჩა, № 10. 1388

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** **და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3 — 5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, ეროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო გახყოფ. პირდაპირ. 102

ბ ფ ი ლ ი ს ი, 14 ი ვ ლ ი ს ი

ბალკანეთზე. „ძაღლი პატრონს ვეღარ სცნობსო" რომ იტყვან, სწორედ ისეთი მდგომარეობაა დღეს ბალკანეთზე. ყოფილ მოკავშირეთა სულმოკლეობამ ხელახლად დაატრიალა ომის საშინელება ისედაც აოხრებულ ნახევარ კუნძულზე. ძმათა შორის დაწყებული სისხლისღვრა თვისი სისასტიკითა და დაუნდობლობით პირველ საუკუნოების ველური ბრბოთა თარეშს მოაგონებს ადამიანს. სერბიელი ბულგარელს აღარ ინდობს, ბულგარელი—სერბიელსა და ბერძენს, ყველა კი რაღაც გაალქაჯებული განადგურების წყურვილს შეუპყრია. ამ საშინელს ორონტრიალში არა თუ მეომარ სახელმწიფოებმა, არამედ ევროპის დიპლომატიამაც კი საზრისი და გონიერების უნარი დაჰკარგა. აგერ ორი კვირის განმავლობაში განუწყვეტლად გაისმის, რომ ევროპის დიპლომატია ყოველ ღონისძიებას იხმარს, რათა, რაც შეიძლება, ჩქარა მოუღოს ბოლო ბალკანეთის ვაი-უშველებელსო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ომი არათუ განელდა, პირიქით თან და თან რთულდება. ყველაზე მეტი ზარალი ახალმა ომმა ბულგარეთს მიაყენა: ოთხივე მხრიდან შემოზღუდეს იგი მეზობლებმა და, რაკი დრო შეურჩიეს, ვერაგულად წაუკრეს ყელში თოკი. რუმინიის ჯარის ერთმა კორპუსმა უკვე დაიპყრო ის ადგილები, რომელსაც პირველ ომის დროს ედავებოდა ბულგარეთს ბუქარესტის მთავრობა, სახელდობრ—რუშჩუკ-ბალჩიკ-ტურტუკაის სამკუთხედი. ეს კიდევ არაფერი. რუმინია უფრო მეტსაც მოითხოვს. ძან ხმა-მაღლა განაცხადა, რომ გულგრილად ვერ დაუწყებს ცქერას ყოფილ-მოკავშირეთა გამიჯვნის საქმეს. ესე იგი, ბალკანეთის მომავალ სტატუს-ქვოს დამყარების დროს იგიც მოითხოვს თანასწორ-უფლებიან ხმას. ასეთ მოქმედების საქიროებას ბუქარესტის მთავრობა ბალკანეთზე წონასწორობის დაცვით ასაბუთებს.

მეორეს მხრით კი, გუშინ წელ მოწყვეტილმა ოსმალეთმაც წამოიღო თავი; გადმოლახა, ლონდონის კონფერენციის მიერ დადგენილი, ოსმალეთ-ბულგარეთის საზღვარი და ცნობილ ენვერ-ბეის მეთაურობით კვლავ დაიპყრო ადრიანოპოლის ვილაეთი. თუმცა ევროპის დიდი სახელმწიფოები, განსაკუთრებით კი რუსეთი და ინგლისი, მკაცრ პროტესტს აცხადებენ ოსმალეთის ასეთი საქციელის წინააღმდეგ, მაგრამ „ახალგაზდა ოსმალთა" სამინისტრო ყურსაც არ იბერტყს: დეპეშამ ამბავი მოიტანა, რომ აბუქ-ფაშის რაზმმა კირკილისეს ჩრდილოეთით ბულგარეთის მკვიდრი სოფლებიც კი აიღოო. დაუმატეთ ამას ის გარემოებაც, რომ გამარჯვებული სერბია და ბერძენი მეტად მძიმე საზავო პირობებს წინაუდებენ სრულიად განადგურებულ ბულგარეთს, როგორც მაგ., სამხედრო ხარჯის ანაზღაურებისა და ეგეის ზღვის სანაპიროებზე ხელის აღება; ბულგარეთის ასეთმა უნუგეშო მდგომარეობამ ხალხის სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია იმათ წინააღმდეგ, ვინც ბრმა-ეგოისტური ენინანობით დაღუპვის კარამდე მიიყვანა ქვეყანა. უცხოეთის გაზეთების სიტყვით, სოფიასა და პროვინციის დიდ ქალაქებში უკვე დაიწყო კობურგების დინასტიის წინააღმდეგ მიმართული მოძრაობა. ძნელია, რასაკვირველია, იმის განკვრეტა, თუ როგორ სახეს მიიღებს ხვალ დღევანდელი არევ-დარევა, მაგრამ ერთი რამ კი ცხადის უცხადესია: ვერავითარი **Status quo** და დიპლომატიის ხრიკები ვერ გახსნიან იმ კვანძს, რომელიც ისტორიულმა მსვლელობამ გასკვნა ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე, სანამ თვით იქ მცხოვრები ერები არ შეიგნებენ სოლიდარობისა და ძმური ურთიერთობის საჭიროებას.

ა ხ ა ლ ი ა მ ბ ა ვ ი

ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **დეპეშა მეტეხის ციხიდან.** უზომოდ შეგვაწუხა შრომის შვილთა მომღერალის, მრავალ-ტანჯული მგოსნის ირ. ევდოშვილის ავადმყოფობამ. გადაეცით ჩვენი უგულითადესი სალამი და თანაგრძნობა. ვუსურვებთ მალე განკურნებას. ტუსაღთა შორის შეკრებილი წვლილი (ნივთიერი დახმარება) ამასთან ერთად იგზავნება. მეტეხის ციხის პატიმართა მონდობილებით **იოსებ არიმათიელი.**

✦ **საკოოპერაციო კურსები,** რომელსაც ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება მართავს, დაიწყება ხვალ, 15 ივლისს. კურსებზე ლექციების წასაკითხად ჩვენებურ ლექტორთა გარდა მოწვეულნი არიან სპეციალისტ-ლექტორები ხარკოვიდანა და მოსკოვიდან. სოფლის კოოპერატივთა წარმომადგენელთათვის, რომელთა რიცხვი კურსებზე, 40-ჰდე იქნება, ტფ. საბაღოსნო სასწავლებელში ბინაა მოწყობილი. რუსულ ლექციების კითხვა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში იქნება, ხოლო ქართულსა-კავკასიის სააბრეშუმო სადგურის შენობაში.

✦ **ფილოქსერასთან ბრძოლა.** მეცენახეობისა და მეღვინეობის ტფ. საგუბერნიო კომიტეტმა უკვე შეადგინა გეგმა ფილოქსერასთან ბრძოლისა. ერთი საფილოქსერო დასი უფროს ინსტრუქტორის ი. ი. იოსელიანის ხელთაურობით უკვე გაჰგზავნა ბორჩალოს მაზრაში, მეორე დასს უფროს ინსტრუქტორის ბ-ნ მარქა-

---

ბანკების მოვალეობა იმაშიაც მდგომარეობს, რომ მევახშეებიდან და ჩარჩებიდან განთავისუფლებულ ხალხისათვის, ერთის მხრივ, მიეცა საწარმოვო თანხა, კაპიტალი, ეშოვნა მისთვის სამუშაო იარაღები, ხოლო, მეორე მხრივ, გაეხსნა სასოფლო ნაწარმოებისათვის ფართო ბაზარი. ამნაირად, სასოფლო ბანკების მნიშვნელობა ჩვენთვის მეტად დიდია.

მაგრამ სასოფლო ბანკი კიდევ უფრო საინტერესოა ქართველი ხალხისათვის მით, რომ ჩვენ, ქართველებს, არ მოგვეგონება მსხვილი კაპიტალი; ეროვნული საწარმოვო ასპარეზი ფართო მაშტაბისა ჩვენშიაც არს არსებობს, ყოველფერს წვრილი და სადა ხასიათი აქვს. ამიტომ საწარმოვო საქმის გაკეთება ჩვენ არ შეგვიძლია თუ არა შეერთებულის ძალით, კოოპერაციით. სასოფლო ბანკი კი ისეთი საკოპერაციო დაწესებულებაა, სადაც ხალხის ზედმეტი სიმდიდრის შეგროვება და გამოყენება შეიძლება. ხოლო, თუ მხედველობაში მივიღებთ ანაციონალურ ძალის ჩვენთვის გამანადგურებელ მოღვაწეობას, მაშინ დავინახავთ, რომ ყოველგვარ ორგანიზაციას, რომელსაც შეეძლება ეროვნულ ძალების მობილიზაცია ჩვენ დიდის ხალისით უნდა ვემსახუროთ და განვავითაროთ, გავაძლიეროთ იგი. სასოფლო ბანკი სწორედ რომ ერთი ასეთი ორგანიზაციაა, სადაც ეროვნულ საშვალებების კონცეტრაცია შესაძლებელია მოხდეს საეროვნო საქმეთა წასაყვანად.

სამწუხაროდ, ჩვენი ინტელიგენციის აგეთს დამოკიდებულებას სასოფლო ბანკებზე ჩვენ ვერ ვხედავთ. მართალია სასოფლო ბანკების რიცხვი თან და თან მატულობს, მარტო შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა რიცხვი 1907 წ. უდრიდა იმერეთში 14-ს, ხოლო 1910-ს 21-ს, მაგრამ ამხანაგობათა სიმრავლე სრულებით არ ამტკიცებს ჩვენი ინტელიგენციის ან ხალხის ენერგიულ მუშაობას ამ ასპარეზზე. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ერთი და ორი სასოფლო ბანკის კარგად დაყენება გაცილებით უმჯობესია და სასარგებლო, ვინემ 21-ისა, თუ იგინი დაჩიაგებულნი და უსარგებლონი იქნებიან საზოგადოებრივ ცხოვრებისათვის.

ნამდვილად ჩვენ ვხედავთ, რომ მრავლად დაარსებული სასოფლო ბანკები სრულიად ვერ ამართლებენ დამფუძნებელთა იმედს. როგორც ეფექტის ხალხი, ჩვენ გატაცებას ადვილად მივყვებით, წარმოუდგენელ სიხარბით დავეწაფებით ხოლმე ახალ მოვლენას ცხოვრებისას, თითქოს ყოველმხრივ ახალ მოდაზე მოვეწყვეთ, მაგრამ შინაარსი კი კვლავ ძველებური რჩება, უკულტურო.

რაკი გავიგეთ, რომ საკოოპერაციო კრედიტი ხალხისათვის სასარგებლო ძალაა და მით ევროპიელები ეწყობიან, ჩვენც, ინერციის ძალით დავეწაფეთ კოოპერაციას, საგანგებო ჟურნალიც კი დავაარსეთ, მაგრამ, აქა-იქ დავაარსეთ თუ არა საკოოპერაციო დაწესებულებანი, მყისვე მივეცით თავი უდარდელობას. ასე წარმოიდგინეთ, ბიუროკრატიული მთავრობაც კი, რომელიც სახელგანთქმულია სახალხო საქმეებისადმი გულგრილობით, საგანგებო ინსტიტუტს აარსებს სახელმწიფო ბანკის კანტორა-განყოფილებებთან, რათა წვრილი კრედიტის ორგანიზაცია რაციონალურად იქმნას დაყენებული. ეს ინსტიტუტი გახლავთ ინსტიტუტი წვრილ კრედიტის ინსპექციისა. ჩვენი, ვითომდა დემოკრატიული, ინტელიგენცია კი რაიმე ორგანიზაციასა ჰქმნის სახალხო კრედიტის რეგულარიზაციისათვის? თუ

---

*) ჩვენი მიზანი იყო, გამოგვეკვლია აგრედვე სოფელ ბაკურიანის (ქართლის) საკრედიტო ამხანაგობა. სამწუხაროდ, რამდენიც არ მივედით თავის დროზე საკრედიტო დაწესებულებაში, კარები მუდამ მიკეტილი დაგვხვდა, რის გამოც ჩვენი მიზნის განხორციელება არ მოხერხდა.

რაშვილის მეთაურობით დღესა ჰგზავნის კახეთს. მუშაობა სამს თვეს გასტანს.

✦ **სასოფლო მეურნეობა.** წარსულ მარტში მომხდარ სასოფლო სამეურნეო თათბირის დადგენილების თანახმად, აღძრულია შუამდგომლობა მიწათ-მოქმედების დეპარტამენტის წინაშე: გადაიდოს 1.296,739 მან. კავკასიაში სასოფლო სამეურნეო საცდელ საქმის წესიერ დინებაზე დასაყენებლად.

მიწათ-მოქმედების დეპარტამენტის წინაშე შუამდგომლობა აღძრეს, გადასდოს დამატებითი თანხა შავის ზღვის პირად 1913 წელს დაწყებულ ბაღის გაშენების დასამთავრებლად.

ამ თვის დამლევს ტფილისის გუბერნიაში ჩამოვა მიწათ-მოქმედების დეპარტამენტის განყოფილების უფროსი ბ-ნი მამონტოვი, რომელმაც ადგილობრივ უნდა გამოირკვიოს მინდვრის თაგვთან და მანვე მწერებთან საბრძოლველი ღონის-ძიებანი.

✦ **ქალაქის თვითმმართველობის იუბილე.** აგერ ორი წელიწადია 35 წელიწადი შესრულდა, რაც ტფ. ქალაქის თვითმართველობა არსებობს. ამ დღის სადღესასწაულო აღნიშნა ქალაქის გამგეობას განზრახული აქვს. ამის გამო ქალაქის საქმის მწარმოებელს ი. დ. კობიაკოვს ქალაქის გამგეობამ დაავალა შეადგინოს ხარჯთ-აღრიცხვა იუბილესი და ვრცელი პროგრამა.

✦ **მფრინავმა ბ. ს. ქებურიამ** თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს ნივთიერი დახმარება სთხოვა თავის აეროპლანისთვის მოტორის შესაძენად. საკრებულომ თხოვნის დაკმაყოფილება შეუძლებლად სცნო.

✦ **საალმაშენებლო თანხა.** მიწათ-მოქმედების დეპარტამენტმა 90,177 მან. გადასდო მიწათ-მოქმედებისა და მიწათ-მოწყობის საძმართველოს კავკასიის რწმუნებულის განკარგულებაში. ამ ფულში 71,000 მან. უნდა მოხმარდეს ტფ. საბოტანიკო ბაღში ახალ შენობათა აგებას და ძველის შეკეთებას და 9,177 მან. კი უნდა დაიხარჯოს მუშტაიდში საალმაშენებლო სამუშაოზე.

✦ **აგურის ქარხნის** მეპატრონეთ ქალაქის გამგეობამ წინადადება მისცა, დაუყოვნებლივ მოაწყონ ქარხნებთან მისასვლელი გზები, სადაც ცენები ვერ დადიან, მეტადრე ცუდის-ამინდის დროს. ეს განკარგულება გამოიწვია პირუტყვთა მფარველ საზოგადოების შუამდგომლობამ.

✦ **გორის ეპისკოპოსი ანტონი,** რომელიც გორის მაზრას იყო წასული ეკლესიების დასათვალიერებლად, ტფილისს დაბრუნდა ამ დღეებში ეპისკოპოსი ჯავის ხეობაში მიემგზავრება.

✦ **საბირჟო ცნობები.** 13 ივლისს ტფილისში შეთანხმება არ მოხდა

მოხდა და სოფლის ინტელიგენტი დაესწრო სახალხო ბანკის კრებას და რაიმე რჩევა მისცა მას, მით საქმე გაკეთებულია, იგი ყოყოჩობს ენის ამოდებით და ამპარტავნულად დასეირნობს ბანკის გვერდით, თითქოს ბანკის საქმე მას არც კი ეკითხება. სოფლის ინტელიგენციის გულგრილობა კიდევ მით შეგვიძლია დავახასიათოთ, რომ მთელს საქართველოში მრავალ სასოფლო ბანკებიდან ვერ დავასახელებთ თუნდ ერთს, რომ იმ ბანკის მოგომარეობა გთვალისწინებული იყოს. ამიტომაა, რომ ჩვენ ყოჩაღები ვართ, როცა ვქადაგებთ ამა თუ იმ დაწესებულების სიდიადეს, ხოლო ის კი არ ვიცით, თუ ეს დაწესებულებანი ნამდვილს ცხოვრებაში რასა შვრებიან, რა პირობებს ჰქმნიან, რა რიგ აწარმოებენ სახალხო კეთილდღეობის საქმეს.

ასეთ პირობებში რომ სასოფლო ბანკების მდგომარეობა მეტის-მეტად ცუდი და საშინელი იქნება, ეს აპრიორულადაც შეუძლია მკითხველმა წარმოიდგინოს. მაგრამ ამ ეამად აპრიორულ შეხედულებით არ ვკმაყოფილდებით. კონკრეტიულად წარმოადგენა ტიპიურ სასოფლო ბანკისა მრავალის მხრივ არის საყურადღებო და სწორედ ამ მიზნისათვის გამოვიყენეთ ის ორი თავისუფალი დღე, რომელიც დავყავით 1913 წ. ივნისში პროვინციაში, სოფელ ლანჩხუთში, გურიაში*).

II.

სასოფლო ბანკის კეთილდღეობაზე დიდი გავლენა აქვს კულტურის მდგომარეობას. ამ მხრივ სოფ. ლანჩხუთი მთელ საქართველოს სოფლებში შეგვიძლია ჩავთვალოთ ტიპიურ ანუ საუკეთესოდ მოწყობილ სოფლად. იგი გამოჩენილი, მოწინავე სოფელი—დაბაა ცოცხალ გურიაში. ათი წელია, რაც არსებობს სამოქალაქო სასწავლებელი, ვაჟთა და ქალთა ორკლასიანი სკოლები, საქალებო ჰროგიმნაზია, ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება, საუბნო სასამართლო, საჰოლიციო და სასოფლო სამართველო, რკინის გაზის სადგური, სამკითხველო, სასოფლო ბანკი, მთელი ბაზარი სავაჭრო და საალ[illegible] დაწესებულებით, კარგი გზებით, რომელნიც გაზის ფარნებით საუცხოოდ განათებულია, აფთიაქი, ქსენონი და სხ.

აი ამ სოფლის წვრილ საკრედიტო დაწესებულების — შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობას და მის მდგომარეობას გვინდა შევეხოთ აქა.

წინასწარი გამოკითხვით დავრწმუნდით, რომ ადგილობრივ ინტელიგენციას სრულიად უყურადღებოდ მიუტოვებია ბანკის ჭირ-ვარამი. მხოლოდ-და გამგეობის სამიოდე პირზე მიუგდიათ ბანკის სვე-ბედი, და ამიტომაა, რომ ბანკის ცხოვრებაში ალარა სჩქეფს ნაკადი ახალ-ახალ მოვლენებისა, წარმოების ახალ-ახალ სისტემისა, მოღვაწეობისა.

ბანკი—რა ტიპისაც არ უნდა იყოს იგი—ფრიად ნაზი, სათუთი დაწესებულებაა. ბანკი ცხოვრების ნამდვილი ოწინარია, იგი ნამდვილი მეტეოროლოგიური სადგურია სოციალურ და ეკონომიურ ცხოვრებისა და ამიტომაა აუცილებლად საჭირო, რომ ბანკის მმართველმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს არა მარტო საბანკო სპეციალურ საქმეს, არამედ შეგნებულად გაიგოს და ალღო აართვას თვით სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრების მსვლელობას.

✦ სახალხო სამუსიკო საზოგადოების სასარგებლოდ დღესა და ხვალ მუშტაიდის ბაღში დიდი სახალხო **სეირნობა** გაიმართება. ბაღში შესვლა უფასოა.

✦ **მფრინავი ბ. ქებურია** მოაწყობს ფრენას, თავის მიერ გამოგონებულ საფრენ მანქანით დღეს, 14 ივლისს, საღამოს 5 საათზე, დიდუბეში, საჯირითო ღოღის გვერდზე.

საზოგადოებანი და კრებები

✦ **ბლექთან მებრძოლ კავკასიის საზოგადოების** 1910—1912 წლის მოქმედების ანგარიში ცალკე წიგნაკად დაიბეჭდა. ანგარიშში მოყვანილია საკმაოდ დაწვრილებითი ცნობები საზოგადოების შემადგენლობისა, საერთო მოქმედებისა, აბასთუმანის სანატორიისა, „თეთრის ყვავილი"-ს დღესასწაულისა, ჭლექიანთა ამბოლატორიისა და საზოგადოების ნივთიერ მდგომარეობის შესახებ.

სასამართლო

✦ გუშინ, 13 ივნისს, ტფ. სასამართლო პალატის საგანგებო საკრებულოში წოდებათა წარმომადგენლების მონაწილეობით ხელახლად გაირჩა კამო ტერპეტროსოვის გაქცევის საქმე, რომლისათვისაც მის დებსა, საავადმყოფოს ზედამხედველს ბრაგინს ტ ცინცაძეს მისჯილი ჰქოდათ, პირველთ—საუკუნო გადასახლება, ცინცაძეს და ბრაგინს—კატორღა. სენატის უქაზით ეს საქმე ხელმეორედ გაირჩა. საგანგებო საკრებულომ ცინცაძეს და ბრაგინს კატორღა საუკუნო გადასახლებით შეუცვალა. ტერ-პეტროსოვის უფროს დას 1 თვის ციხე მიუსაჯა უმცროსს კი—5 თვისა და 10 დღის.

✦ გუშინწინ უნდა გარჩეულიყო სუდენტს გეღოვანის საქმე, მაგრამ მოწმეები არ გამოცხადდნენ და ამის გამო საქმის გზნხილვა გადაიდო.

ბორჩალო.

✦ **ინჟენერების დატყვევება.** 7 ივლისს, საღამოს 6 საათზე, „ფრანგთა საზოგადოების" ინჟენერები ჰონომარენკო და ფორი ახტალის მადნიდან ცხენებით სასეირნოდ გამგზავრნენ. მათ ახლდა ქარხნის მსახური. მოსეირნეებმა სულ ვერსი გაიარეს, სადგურ ახტალამდე აღარ მივიდნენ, შეიარეს მემამულის მ. ე. ერმანიანცის აგარაკში და შემდეგ უკან, მადნებისაკენ, დაბრუნდნენ. უცებ, მადნებიდან ერთის ვერსის მანძილზე, საფარიდან გამოხტა ორი შეიარაღებული კაცი. უცნობებმა ინჟენერებს, რომელთაც ზედ იარადი არა ჰქონდათ, თოფები დაუმიზნეს, ჩამოახტუნეს ცხენებიდან და მოკვლის მუქარით ტყეში შეიყვანეს. ყაჩაღებმა ინჟენერებს ფული მოსთხოვეს, მაგრამ არ ადმოაჩნდათ. მაშინ უცნობებმა ინჟენერებს უბრძანეს, გაიარეთ მსახური ქარხანაში გაეგზავნათ ფულისთვის, რაც ინჟენერებმა

პირველი ტიპი სასოფლო ბანკებისა, ტიპი ცნობილ გერმანელ ეკონომისტის შულცე-დელიჩელისა, უფრო მარტივი და სადა იყო მე-60 წლებში. ცხოვრების განვითარებამ წარმოშობა ახალ-ახალი მოთხოვნილებანი, ახალი სამოქმედო ასპარეზი, იგი ცხოვრება ძალზე გართულდა და აი ბანკის მმართველი წრეებიც მოდიან სათანადო მოძრაობაში და შულცეს შემოქმედებაც თანდათან ფერს იცვლის, ფართო ხასიათს ღებულობს, რთულდება. 1895 წლის 1 ივნისის დებულებით ჩვენშიაც იყენებენ ცნობილ გერმანელ კოოპერატორის—რაიფაიზენის საკოოპერაციო კრედიტის სისტემას. იმ დროიდან და აგრედვე 1904 წლის კანონის ძალით სასოფლო ბანკებში შემოაქვთ საშუალებანი ოპერაციები და ამნაირად სასოფლო ბანკებიც მხურვალე მონაწილეობას იღებენ სოფლის გართულებულ ცხოვრებაში.

სასოფლო ბანკების ასეთს განვითარება-გართულებას ჩვენ დიდი ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ. თვით ის ცვლილებანი, რომელნიც თანდათან შეტანილან სასოფლო ბანკების პრაქტიკაში, უქმი ადამიანის ფანტაზიით როდი აიხსნება. არა, ეს ცვლილებანი პირდაპირ გამოწვეული იყო ცხოვრების განვითარებით და სოფლელთა მოთხოვნილებებით.

სამწუხაროდ, ლანჩხუთის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის მესვეურთათვის ყოველივე ეს ზღაპარია, მათ არც კი წარმოუდგენიათ რაიმე კავშირი ცხოვრებასა და ბანკს შორის. მათვის უცხოა განვითარება საბანკო საქმისა. ისინი უყურადღებოდ სტოვებენ კანონმდებლობას, ლიტერატურას, ვერ აწყობენ ლექცია-რეფერატებს. თქვენ წარმოიდგინეთ, საკოოპერაციო დაწესებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეასრულეს. მსახურმა ქარხნიდან 275 მან. მოიტანა და ყაჩაღებს გადასცა. ამის შემდეგ დატყვევებულნი გაანთავისუფლეს და თვით მიიმალნენ.

თელავი.

✦ **უბედური შემთხვევა.** სოფელ წინანდალში საუფლისწულო მამულის მსახურმა ბესარიონ ქურციკაშვილმა უცაბედად მოჰკლა თავისი ამხანაგი, ამავ მამულის მსახური ალექსი ფეიქრიშვილი.

დღიური

ა. ოდიშარია და ლ. ნაცვლიშვილი.

სიამოვნებით უნდა აღვნიშნო ჩემს დღიურში ამ ორი მასწავლებლის სახელები. ისინი ქუთაისის საქალაქო პირველდაწყებითი სასწავლებლების მასწავლებელნი იყვნენ, თავი გამოიდვეს ქართული ენის ლანდად ღა ქცეულის უფლების დასაცავად და ამისათვის ადგილიდან დაითხოვა დირექციამ.

საოცარს ბედს განიცდის ჩვენი უფლებრივი მდგომარეობა. საოცლოა რაიმე ლაპარაკი ქართველი ერის პოლიტიკურ-ეროვნულ ღირსება-საპიროება-უფლების შესახებ. ქართველი ერი, როგორც პოლიტიკური მთლიანობა, მოსპობილია; საქართველო, როგორც სამშობლო ჩვენის ერისა, უარყოფილია; ქართული ენა, როგორც გამომსახველი ჩვენის სულის და გულის, დანაშაულობაა; ქართული ლოცვა... მხოლოდ ბნელს ღამესა და მიმალულ კუნჭულებშია შესაძლებელი!...

ლანდები ღა შეგვრჩა ყველგან, სინამდვილე მოსაგონებელია ან საოცნებო; ცხოვრება ჩვენი ცხოვრება აღარაა, სიტყვა ჩვენი-სიტვა, სიხარული ჩვენი-სიხარული და ტირილი ჩვენი-ტირილი. ლანდების სამეფოში ვიმყოფებით, ჰაერს ადარ ვსუნთქავთ, სინათლეს ადარ ვხედავთ. ჩვენი სულიერი განწყობილება ავადმყოფობაა, გული არა სცემს თავისუფლად და სისხლი არ მოძრაობს დაუბრკოლებლად.

ქვეყანა ჩვენი აჩრდილების ქვეყანაა, ჩვენ პოლიტიკური პროლეტარები ვართ, ჩვენ ეროვნული ჰარიები ვართ. ეს გაგვიჩნია რა, მხოლოდ ისაც მოგვეპოვება—მკრთალი, ოდნავი, ეფემერიული, უხილავი, შეუხებელი, ნასახი ბისაც, ლანდი ლანდისა და მაინც კმაყოფილება გადაჰკვრია ჩვენს სახეს, ძალი ჩვენი ტკბილივ და ვიდერით მრავალჟამიერს და ვგალობთ სამადლობელოს.

მხოლოდ ხანდახან, ფითქოს მორცხვად, ამოვიდებთ ხმას ჩვენის უფლებრივის ნასახის დასაცავად და ესეც აკრძალულია ჩვენთვის სასტიკად, ესეც შეუძლებელია, ესეც კრულია და შეჩვენებული.

სრულიად მეტია იმის ლაპარაკი, რომ ქართული ენა ქართულ სახალხო

ლება ერთად-ერთ ქართულ საკომერციო ჟურნალსაც კი არ იწერდა! და ასეთ პირობებში, როგორღა შეუძლია ბანკმა ნაყოფი გამოიღოს, შეიპრეს მწარმოებელ ხალხის ცხოვრებაში ⁄ მოახდინოს საჭიროდ გავლენა. მართლაც, ჩვენ დავინახავთ, რომ ლანჩხუთის ბანკმა ვერაფერი გააკეთა და ისე ჰლაფავს სულსა.

ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ რამდენადაც ბანკი აფართოებს თავის სამოქმედო ასპარეზს, რამდენადაც იგი ხელსაყრელ პირობებს შეგებულად და საზრიანად ეტანება, იმდენადვე იგი სავსებით აღწევს თავის მიზანს. მაგრამ ლანჩხუთის სასოფლო ბანკისათვის არც კი არსებობს აგეთი ჭეშმარიტება. მას ერთად-ერთი საქმე დაუსახავს თავის მოქმედების ქვაკუთხედად: სესხის გაცემა, სესხის აღება, მეტი მოგება.

სასოფლო ბანკი არ უნდა მიესწრაფოდეს მხოლოდ მოგებას. იგი იმით განირჩეა წმინდა საკომერციო ბანკისაგან, რომ სასოფლო ბანკი იცავს უფრესად საზოგადოებრივ ინტერესებს, საკომერციო კი კერძო კაპიტალისტებისას. ამიტომ, რამდენადაც დიდია სარგებელი საკომერციო ბანკებში, იმდენად დაბალი უნდა იყოს იგი სასოფლო ბანკებში. ლანჩხუთის ბანკისათვის კი არც ეს ჭეშმარიტება არსებობს. მას უფლება აქვს კანონის ძალით დაწესოს სარგებლის ნორმა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 12% და არ უნდა იყოს ნაკლები 6%. ლანჩხუთის ბანკი გაჩერებულია 10% და მხოლოდ ამ სარგებლის მობოქვით განუსაზღვრავს თავისი მოქმედება.

ცხადია, ასეთ შემთხვევაში ბანკი მხოლოდ იმით განსხვავდება მევახშისაგან, რომ პირველი იღებს მხოლოდ 10%, როცა მევახშე იღებს 1—12%. ეს განსხვავება კი არც ისე დიდია

სკოლებში ყოველმხრივ შევიწროვებული და დაჩაგრულია. ქართული ენა და დღევანდელი სახალხო სკოლა—ორი ერთიმეორის სამტრო ბანაკია, ერთი მეორის მებრძოლი, ერთი მეორის გამომრისხველი. მაგრამ მაინც არსებობს რაღაც აჩრდილი ქართული ენის უფლებისა, აგრეწოდებული 1881 წლის გეგმა. ხოლო ეს აჩრდილიც მოსვენებას არ აძლევს ჩვენში სწავლა-აღზრდის ბატონებს და ყოველ დღე იმის ცდაში არიან, რომ ქართული ენის სახსენებელიც არ იყოს ჩვენს სახალხო სკოლებში.

შარშან ნოემბერში სახალხო სკოლების ინსპექტორმა გროზდოვმა ქუთაისის ქალაქის სკოლების გამგეებს დაურიგა გაკვეთილების განაწილების ახალი ნუსხა, რომელიც სრულიად ეწინააღმდეგება 81 წლის გეგმას და კიდევ უფრო ავიწროვებს ისედაც დაჩაგრულს და წამებულს ქართულს ენას. სკოლის გამგენი არ დაეთანხმნენ ინსპექტორს გაიმართა კამათი, საქმეში ჩაერივნენ ქალაქის თავი და ოლქის მზრუნველი, საქმე სათათბირომდის მივიდა. ცხადი იყო ინსპექტორის განკარგულების სრული უსაფუძვლობა და მზრუნველიც კი 81 წლის გეგმას გამოესარჩლა. ეტყობოდა, რომ მასწავლებლები გაიმარჯვებდნენ და საზოგადოებრივს აზრს მცირეოდენი ფასი დაედებოდა.

მაგრამ მოლოდინი გაცრუვდა და მოხდა ის, რაც ყოველთვის ხდება ჩვენში, გაიმარჯვა ისევ ინსპექტორმა და მის გამარჯვებას ხელი შეუწყეს თვითონ საქალაქო სკოლის ზოგიერთმა გამგემ, რომელთაც მიიღეს ინსპექტორის უკანონო ნუსხა და მით გზა გაუკაფეს მას დედა ენის განადგურებისაკენ. არ ეღალატეს თავის რწმენას მარტო ზეძოხსენებულთ ოდიშარიამ ⁄ ნაცვლიშვილმა და სამსახურის შენარჩუნებისაფვის არ იკისრეს გამცემლობა.

ქართველი სახალხო მასწავლებლები არ არიან, სამწუხაროდ, დღეს სახალხო სკოლის დამცველნი, საშშობლო ენის მოსარჩლენი; უფრო პირად დაწინაურებას და კეთილდღეობას ჰფიქრობენ, უფრო მამონას ემსახურებიან, ვიდრე სინდისს, ამიტომ სიხარულით, მადლობით და დიდის პატივისცემით უნდა მოვიხსენიოთ ყოველთვის ოდიშარიას და ნაცვლიშვილის იშვიათი მაგალითები.

სიტყვა.

მუშათა ცხოვრება

ჭიათურა.

✦ ჭიათურაში 11 ივლისს ოგანეზოვის ფირმამაც დაკმაყოფილა მუშების მოთხოვნილებანი და მის საბრეცხ ქარხანაში და მაღაროებშა მუშაობა განახლდა. ამ ჟამად ჭიათურაში 150—200 ვაგონამდი იტვირთება ყოველ დღიურად.

და ამიტომაა, რომ ლანჩხუთის ბანკს ვერ მიუპყრია მკვიდრთა ყურადღება, სიმპატია.

კიდევ უფრო სავალალო ის გარამოებაა, რომ ლანჩხუთის ბანკის მესვეურები სესხის საქმესაც ვერ აწარმოებენ ისე, როგორც წესი და საჭიროა.

როგორც ვიცით, სესხი გულისხმობს ორის იურდიულად თანასწორ პირის ურთიერთობას. საკომერციო ბანკი მიისწრაფის ვალგას მისი კლიენტის ვინაობა, ნივთიერი და სხვა მდგომარეობა. თავის თავს კი იგი ბანკი კლენტს უმალავს. შენი საქმე მეკითხვის, ჩემი კი არაო. საკოოპერაციო ბანკი კი უნდა მიისწრაფოდეს, გაიგოს არა მარტო კლიენტის ვინაობა-მდგომარეობა, არამედ ის ცდილობს კლიენტს თავისი თავიც გააცნოს, მას გვერდში ამოუდგეს, ფაქტიურად გაუამხანაგდეს. სასოფლო ბანკი ამბობს: ჩემი და შენი ინტერესი ერთგვარია, ჩვენი სიცოცხლე და ბედნიერება ორთავეს მდგომარეობაზეა დამოკიდებული, ჩვენ ორთავე უნდა ვეესწრაფოდეთ საერთო საქმის კარგად წაყვანასა.

უბედურებაც სწორედ იმაშია, რომ ამ რიგად ვერ იქცეოდა და ვერც იქცევა ლანჩხუთის შემნახველბამ. ამხანაგობა. ფულების გამტანისათვის ბანკის ინტერესები არ არსებობენ. მსესხებელი სრულიად არ უწევს იმ გარამოებას ანგარიშს, რომ სოფლის ბანკი დაარსებულია სოფლად მწარმოებელ ძალთა გასავითარებლად, რომ ამიტომ კლიენტმა სხვა-გვარი დამოკიდებულება იქონიოს სასოფლო ბანკთან, ვინემ საკომერციოსთან. მაგრამ ამ გარამოების ანგარიშის გაწევა საიდან შეეძლება უბრალო გლეხ-კაცს, როდესაც თვით ბანკის მართველთა

✦ 10 ივლისს, ჭიათურაში დაუპატიმრებიათ ორი მუშა, რომელთათვის ენახავთ მოწოდებები. დაპატიმრებულები გუშინ ქუთაისში ჩამოიყვანეს და საგუბერნიო სატუსაღოში მოათავსეს. საქმეს ჟანდარმების სამართველო იძიებს.

პეტერბურგი.

✦ „პალი“-ს გაფიცული ქარხნის ადმინისტრაციამ გამოაცხადა, რომ გაფიცულთა კომიტეტი მივიდეს ადმინისტრაციასთან გაფიცვის გათავებისათვის მოსალაპარაკებლად. წინაღმდეგ შემთხვევაში მუშები უნდა ჩაეწეროონ, ქალაქის უფროსის განკარგულების მიხედვით, სამუშაოდ ძველი წესით. გაფიცულთა კრებამ დაადგინა განაგრძონ გაფიცვა მოთხოვნილების დაკმაყოფილებამდის.

✦ 7 ივნისს მოხდა კრება ობუხოვის ქარხნის მუშებისა. განიხილეს საკითხი მუშათა პრესის დევნისა. კრება პოლიციამ დაშალა.

✦ 8 ივლის, პოლიციის ძალდატანებით დაიწყეს მუშაობა ოხტის რაიონს 20 პურის საცხობის მუშებმა.

✦ გაიფიცნენ „ატლასის“ ქარხნის მუშები, გაფიცვა ეკონომიური ხასიათისაა.

✦ პურის მცხობელთა გაფიცვა მწვავდება.

✦ 6 და 7 იკლისს გაიმართა სხვა და სხვა ქარხანაში მუშების მიტინგები. მიტინგებზე აღძრული იყო საკითხი მუშათა პრესის შესახებ და ქალაქის უფროსის განცხადება—გაფიცულ მუშათა სამართალში მიცემის შესახებ. მიღებულია რამოდენიმე საპროტესტო დადგენილება.

✦ გაიფიცა ქარხანა „ვულკანის“ 150 მუშა. მოთხოვნილება ეკონომიური ხასიათისაა.

მუშათა მოძრაობა უცხოეთში

„შავი ქვეყნიდან“ (ქვა-ნახშირის მაღაროები) გაფიცულები ფეხით წავიდნენ ლონდონს, რომ იქ, საიმპერიო ფორუმზე, საყოველთაოდ განმარტათ, თუ რისი გულისათვის დაიწყეს სამრეწველოში გაფიცვა, რომელმაც დიდი გაჭირვება მიაყენა მათს ცოლ-შვილს. მაგრამ, სანამ გაფიცულები სატახტო ქალაქს მიაღწევდნენ, „შავ-ქვეყანაში“ ზავი ჩამოვარდა. ზოგიერთ მკითხველს ეცოდინება გაზეთებიდან ამ უზარ-მაზარი გაფიცვის ამბავი, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა 30 ათასი კაცი. „შავ ქვეყანაში“ გაფიცვა წარმოადგენდა შინაგრეწველთა ამბოხებას, რომელიც ადამიანურ არსებობისათვის იბრძოდნენ. მუშები მოითხოვდნენ კვირაში 23 შილინგი მისცემოდათ სამუშაო ქირად და სამოცდა ათი დღის გაფიცვის შემდეგ გაიმარჯვეს. ზავის პირობები შეიკრა ვაჭრობის მინისტრის დახმარებით და სამუშავო ქირა კვირაში 22 შილინგად გახადეს; ექვსი კვირის შემდეგ კი 23 შილინგი იქნება. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, სანამ მუშები ლონდონს მივიდნენ, ზავი ჩამოვარდა ხოლო ეს ამბავი, რომელიც ამ ზავზე ადამიანურ ინტერესებს ეხებოდა, ინგლისელ ბურჟუაზიას ფართო თავისუფლება არ ერეოდა. ეს ამბავი ინგლისელ ელფერს მიიღებდა. ლონდონის მუშებმა მაინც გადასწყვიტეს გაემართათ მოსულ გაფიცულ მუშათა პატივსაცემლად მიტინგი ტრაფალგარის მოედანზე და ამითი დაემტკიცებინათ გაფიცულთა ძირითადი მოთხოვნილება—სამუშავო ქირის მინიმუმი. ფორუმთან ისეთივე სურათის ნახვა შეიძლებოდა, როგორიც თან სდევს ყოველ დიდ მანიფესტაციას: გაშეზებული „ბობბები“ (პოლიციელები) ნელსონის სვეტის პლინტუსთან; ახალგაზდობა, წითელის ყელსახვევით, რომელნიც სოციალისტურსა ⁄ ანარქისტულ ბროშიურებს „საშინელი სახელით“, ჰყიდიან; სუფრაჟისტკებს, რომელნიც თავის ორგანოს უკანასკნელ გამოცემასა და მათ ცხოვრებაში უკანასკნელად მომხდარ ამბების გმირ-ქალების სურათებს აწოდებენ ხალხს; მაწანწალას, რომელიც გაიძახის: „ერთად-ერთი მართალი ოფიციალური პროგრამა მიტინგისა და მოლაპარაკეთა სია“; მოხუცებულს ხუჭუჭი თმით ბეჭებამდე, რომელმაც იცის დაწვრილებით, თუ როგორ მოაწყოს ხვალვე სამოთხე ქვეყანაზე. ამისათვის საჭიროა ჩაიდინონ მკვლელობა, უარჰყონ ვივისექცია და აცრა, მხოლოდ უნდა წაიკითხონ მოხუცისაგან შედგენილი წიგნაკი, რომელსაც იქვე ჰყიდის ხელსაყრელ ფასად—ერთ პენსად. აი, ნახევრად შეშლილი ჯენტლმენიც, გაქონილის ტანსაცმელით და ყალყზე შემდგარ ქუდით, რომელსაც უკვე შეუკრეფია საკმაო რიცხვი გენერალ გორდონის ძეგლთან და ჩუმად უამბობს რომ ის ამბები, რომელიც ნაწინასწარმეტყველევია იოანე მახარობელის აპოკალიპსში, უკვე ხდებიან. მხეცი 666 რიცხვით უნდა მოვიდეს, რადგანაც ხალხთა დიდი ბრძოლა, ამერგედონი უკვე ხდება ბალკანეთის ჭალებზე. სტრენდის მხრიდან მოისმის მუსიკისა და სიმღერის ხმა. ისმის „მარსელიეზა“, „წითელი დროშა“, „ინტერნაციონალი“ და ინგლისური სარევოლიუციო სიმღერები, რომელთა მელოდია საშინლად წაგავს საეკლესიო გალობას. ამოსცურდა ფრიალით დროშა, რომელიც „შავი ქვეყნიდან“ მოსულთ თან მოჰქონდათ. დროშაზე აწერია: „ჩვენ ვთხოულობთ სიცოცხლისათვის უფლებას“, „ოცდა სამი შილინგი კვირაში“. დროშას 50 გაფიცული მოსდევს. ახოვან, მხარ-ბეჭ განიერ ინგლისის საშუალო კლასების წარმომადგენელების გვერდით, პატარა მხარ-ბეჭ ვიწრო და გამხდარი მუშები სხვა ტომის ხალხი გგონიათ. ასეთი არის შედეგი ერთის მხრივ, კეთილი ცხოვრებისა და, მეორეს მხრივ, შიმშილისა და მძიმე შრომისა. ორი საუკუნის წინად წინაპარნი ამ გამხდარ, მოკუზულ ხალხისა, იყვნენ ახოვანნი, ჯანმრთელნი ვაჟკაცნი „იომენენბი“, რომლებმაც საუცხოო ბალადა „მხიარული ძველი ინგლისისა“ შეჭქმნეს. გაფიცულთ „ვაშას“ ძახილით შეხვდნენ, პირველ დროშას მოსდევენ დროშები ტრედ-იუნიონებისა, წითელი ბაირაღები სოციალისტურ პარტიებისა და კლუბებისა. რამოდენიმე წუთის შემდეგ მოლაპარაკენი შევიდნენ სვეტის კვარცხლბეკზე და სიტყვების წარმოთქმას შეუდგნენ.

— ლონდონში, რომ ვინმე ჰოტენტოტი მოსულიყო მუქთახორების ჯგუფით,—სთქვა ერთმა ორატორმა —რომ ვინმე გენერალი, პატარა ეროვნების ამწიოკებელი, მკვლელი რამოდენიმე ათასის, ეგრედწოდებულ მხეცებისა, მოსულიყო, ქალაქი შეიცვლებოდა, ქუჩები დამშვენებული იქნებოდა ბაირაღებით. გილდჰოლში საზოგადო ხარჯით ისადილებდნენ და კიპლინგი (პუბლიცისტია) დასწერდა პატრიოტულ პოემას „მორნინგ პოსტისათვის“ ან „ტაიმსისათვის“. მაგრამ ხალხი, რომელიც ეხლა ჩვენთანა სდგას, არ არის ისეთი გმირი, როგორც კიპლინგს ესმის, ამათ არავინ მოუკლავთ, არავინ გაუძარცვავთ, ესენი წარმოადგენენ შეურაცყოფილს და დაბეჩავებულ მონებს „შავი ქვეყნისას“. ესენი მოვიდნენ საკითხავად: „დიდხანს იარსებებს, თუ არა ის ჯოჯოხეთი, რომელსაც „შავი ქვეყანა“ ეწოდება?“.

შემდეგმა ორატორმა გაფიცულთაგანმა სთქვა „ვისი უფლებითა და ვისი დადასტურების მიხედვით საზოგადოების ერთი ნაწილი არგუნებს მეორე უჯანმრთელო სამუშავერს, რომელიც შვილიდან შვილზე გადადის?—ჰკითხულობს ორატორი—ვინ მისცა უფლება საზოგადოებას მოგვისაჯოს ჩვენ გადაგვარება, გაგვაძეოს ცხოვრებიდან, მისი ლხენიდან, კულტურიდან? თუ ვინმემ ეს უფლება დაადასტურა, ჩვენ ვერ მივიღებთ მას, რადგანაც იგი ეწინააღმდეგება ადამიანისა და ღვთის კანონებს“ ისმის ტაშის გრიალი. გამოვიდა თავისებური ორატორი საასულიერო ტანსაცმელით, მის გვერდით წითელი დროშა ფრიალებს. ლათინთა დიდი ჯვარი გამოხატულია დროშაზე. დროშაზე წარწერილი ამტკიცებს, რომ იგი ეკუთვნის „კათოლიკეთა სოციალისტურ გილდიას“. მღვდელი ორატორი ამტკიცებს, რომ საკითხი ისეთი სამუშავო ქირისა, რომელიც საჭიროა არსებობისათვის, არის საქმე სამართლიანობისა. არ არის ისეთი კანონი, რომელიც მრეწველს. არ ადებდეს ვალს მუშისადმი. უმნიშვნელო რიცხოვანმა ჯგუფმა დაადო ტვირთი რამდენიძე მილიონ მომუშავეს. ლაპარაკობენ საკუთრების უწმინდეს უფლებაზე — განაგრძო კათოლიკე მოძღვარმა—ისინი, ვინც ამ დებულებას წამოაყენებს ხოლმე, იცავს არა საკუთრებას, არამედ ძალდატანებას. „უწმინდესი უფლება“ შეიცავს იმას კი არა, რომ რამოდენიმე საკუთრებდეს **ყოველს**, არამედ **ყველას** ჰქონდეს რაიმე საკუთრება. სწორედ გაგებულ „უწმინდეს უფლების თეზისისა ლოლიკური შედეგი არის სამართლიან სამუშავო ქირის მიცემა, რომლითაც მუშამ შესაფერად იცხოვროს. მუშათა ექსპლოატაცია—ეს ის ცოდვაა, რომლის შესახებაც ბიბლიაში სწერია, რომ იგი შეჰღაღადებს ცას ზეურის ძიებას. ვიქტორიას ეკონომიკა-გაათავა მოძღვარმა—მოკვდა, დაიმარხა. ეხლა მადლობა ღმერთს, მუშამ გაიღვიძა, შეკავშირდა „და თხოულობს უფლებას ცხოვრებისათვის“. დანარჩენმა ორატორებმაც ილაპარაკეს და მოითხოვეს, უმთავრესად, რათა პარლამენტმა სამუშავო ქირის მინიმუმი დააკანონოს.

მოწვერილი ამბები

რაჭა. წელს რაჭას გვარიანი მოსავალის პირი უჩანს. პური ეს არის შემოვიდა კიდეც და ვერ დავემდურებით. ვენახების ამინდი მშვენიერია, კარგათაც ასხია; ახლა თუ გვალვამ სიმინდები არ შეაწუხა, რაჭა არ დაიმშევა.

აქ ამ ჟამად რიონის სიღრმეს ზომავენ. ეს ერთი იმ კომისიის ნაწილი თაგანია, რომელსაც მონდობილაქვს გაზომვა მდინარეების სიღრმისა, სიგანის და ძალისა—საზოგადოთ კავკასიაში. ამ ინჟინერთა კომისიის თავმჯდომარე ინჟინერი ჟერვე, რომელსაც პეტერბურგში დიდი ალაგი უჭირავს, განცვიფრებულია, რომ რაჭის მაზრა ასე მოწყვეტილი ყოფილა მთელს გუბერნიას. აღგვითქვა, რომ წარვადგენ ჩემს აზრს, სადაც ჯერ არს, რომ გზები გაიყვანოს მთავრობამ ნაქერალაზე და რაჭა დაუახლოვოს ტყიბულის რკინის გზას; მეორე გზაც საჭიროა ონიდან შქმერზე გადავიდეს და ჭიათურის რკინის გზას შეუერთდესო. ამ ღვთიური კაცის დაპირება თუ ასრულდა, რაჭას ეშველება სამუდამოთ.

ლეჩხუმის გზას რაჭაში დიდი გაჭირვება ხდება. მთელი 4-5 ვერსი ძირაგვეულისა და კვაცხუთის ჭალებისა ხშირათ ფუქდება წვიმების დროს, ჩამოაქვს გორაკებიდან ქვა-ლოდი, აფუჭებს გზებს, მასთან აჩენს გაუვალს ტალახ-ტლაპოებს და ტბებს. ამას თან ერთვის წესის მეწყერი ერთი ვერსის მანძილზე, რომელიც სულ რიონისაკენ მიჩოჩავს და მიაქვს გზატკეცილი. ამ ორს გარემოებას გზის უფროსები ჩაუფიქრებია და მიუყვანია იმ დასკვნამდე, რომ გზას სხვა მიმართულება მისცენ ამ აღნიშნულ ალაგებში, ე. ი. უნდა გააკეთონ ხიდი რიონზე სადმელში და გავიდეს გზა რიონს მარცხენა ნაწერზე (ქვაბთ-კარში) და წავიდის ამ მხარეზე წესის გასწვრივამდე. იქ კი ისევ რიონზე ხიდი უნდა გაკეთდეს და გავიდეს გზა თავ. ერისთავის სასახლესთან მარჯვენა ნაპირზე. ეს მოსაზრება ინჟინერებისა არ იქნება ცუდი. ამ შემთხვევაში კი ამბროლაურსაც ბედი ეწევა: ფოსტა-ტელეგრაფი და გზის სადგურიც აქ გაკეთდება და წესში კი გაუქმდება.

სამსონ დათეშაძე.

რუსეთი

თავ. მეშჩერსკი და შახოვი.

გაზ. „გრაჟდანინ“-ში თავ. მეშჩერსკი მთავრობასთან ასმენს გამოჩენილს და განთქმულს ქველმოქმედს შახოვს. თავადი პოლიციის დირექტორს ურჩევს, ყურადღება მიაქციოს იმ გარემოებას, რომ შახოვი დახმარებას უწევს უნივერსიტეტებიდან დათხოვნილ სტუდენტებს. ამას თავადი პოლიტიკურ მოქმედებად სთვლის, რომელიც რუსის მთავრობის წინააღმდეგ არის მიმართული.

ბერების პროტესტი.

როგორც გაზ. „რულ“-ს ატყობინებენ, ორიგინალური პროტესტი გამოუცხადებიათ მიხეილის—ათონის უდაბნოს ბერებს. არსებულ კანონით ბერებს არ აქვთ უფლება ატაროონ შარვალი, მაგრამ ეს კანონი სისრულეში არ მოჰყავდათ აქამდე, მხოლოდ ეხლახან დანიშნულს, უდაბნო მონასტრის წინამძღვარს აუკრძალავს ბერებისათვის შარვლის ტარება. ბერებს პროტესტი განუცხადებიათ—უშარლო როგორ ვიაროთო. ბოლოს მაინც მიუციათ ბერებისათვის შარვლის ტარების ნება.

ებრაელები და უნივერსიტეტი

ზოგიერთ უნივერსიტეტს შეკითხვა გაუგზავნია სამინისტროსათვის: როგორი წესით მივიღოთ ებრაელები უნივერსიტეტშიო. კასსოს შეუთვლია, რომ ებრაების მიღება კენჭის ყრით მოხდებაო. ასე რომ, ძველად არსებული უპირატესობანი მოსპობილია:

თეატრი და ხელოვნება

20 ივლისს, განსვენებულის ილია ჭავჭავაძის ხსოვნის აღსანიშნავად, იმართება წარმოდგენა მარტყოფის სახალხო თეატრში ადგილობრივ სცენისმოყვარეთაგან. წარმოდგენილი იქნება, აპოთეოზის შემდეგ ავქაგარლის ოთხ მოქმედებიანი დრამა „ქართველი დედა“ და „მე მოვკვდი“ ვოდევილი მიასნიკისა. ანტრაქტებში იქნება სიმღერები და სიმებინი ორკესტრი. წარმოდგენის შემდეგ მეზობელ სოფლებიდან მოსულებს მიეცემათ ბინა და მსურველთათვის ვახშამი.

კვირას, 14 ივლისს, 1913 წ. ქართ. დრამატ. ხელოვნ. მოყვარეთაგან მსახიობის ალ. შანშიევის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ნაძალადევის თეატრში ცნობილი პიესა „ყაჩაღები“ ტრაგედია 5 მოქ. და 8 სურ. შილერისა, თარგ. ნ. ავალიშვილისა. დასაწყისი საღამოს 9 საათ.

ხნვა და ხნვა აძბავი

„შეუდარებელი“ მხეცობა.

სტავროპოლის ოლქის სასამართლოში ამ დღეებში სასამართლოს დაწესებულებათა პრაქტიკაში იშვიათი შემთხვევა მოხდა. ორი ქართველი—ძმები ჩიკირიშვილები სამართაში იყვნენ მიცემული ძარცვაგლეჯისათვის. რამდენიმე თვის წინად ორივე ბრალდებული წარსდგა სოფ. ბლაგადარნოში სტავროპოლის საოლქო სასამართლოს სესიის წინაშე ნაფიც-მსაჯულთა მონაწილეობით. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს არავითარი საბრალმდებლო საბუთი არა ჰქონდა, ნაფიც მსაჯულთა განაჩენით ორივენი დამნაშავედ იქნენ ცნობილი, სასამართლომ დაინახა, რომ ორივე ძმა სრულიად უდანაშაულოა და განაჩენი უსამართლოა, ერთხმად დაადგინა საქმე განსახილველად ნაფიც-მსაჯულთა ახალ შემადგენლობას გადაეცეს. ამის გამო საქმე ხელმეორედ გაირჩა სოფ. სვიატოი კრესტში. აქაც სასამართლოს გამოძიებამ საქმეში ახალი ვერა შეიტანა-რა. საბრალმდებლო მასალაში ახალი არა იყო რა და ჩიკირიშვილების შორეული მონაწილეობაც კი არ დამტკიცდა. როგორც „ტერეკი“ იტყობინება, სასამართლო ნაფიც-მსაჯულთა აზრის გამო იძულებული გახდა ჩიკირაშვილებისათვის 8 წლის კატორღა მიესაჯა.

ხელმეორედ ამ განაჩენის გაუქმება შეუძლებელია, რადგან სისხლის სამართლის დებულ. 808 მუხლი ამბობს: „თუ სასამართლომ ერთხმად სცნო, რომ ნაფიც-მსაჯულთა გადაწყვეტილებით დასჯილია უდანაშაულო, საქმე ხელმეორედ უნდა გაირჩეს ნაფიც-მსაჯულთა ახალ შემადგენლობის თანდასწრებით; ეს განაჩენი კი საბოლოოა“.

გალკანეთის მოკავშირეთა შეტაკება

(დეპეშ. ჰეტ. საგენტოსაგან)

12 ივლისი.

სტამბოლი. კომიტეტი საეროვნო თავდაცვისა მოიწვევს ხალხს ადრიანოპოლის აღების გამო გადაიხადონ

სამადლობელი ლოცვა და გაჰმართონ პატრიოტული მანიფესტაციები სამხედრო სამინისტროს მოედანზე.

ბუქარესტი. ყველა მიმართულებათა პრესა ქებით იხსენიებს მთავრობის ბრძნულად მოქცევას: დროზე ჩაერია ბალკანეთის საქმეში, წინწასწია ზავის ჩამოგდების საქმე სისხლის დაუღვრელად.

სოფია. ბულგარეთის სააგენტო იუწყება: ბერძნები მივიდნენ სოფელ ბანსკაია და დობრინიშტთან, მაგრამ ისევ სამხრეთისკენ დაიწიეს.

ათინა. ათინის სააგენტო იუწყება: რუსეთის ახლად შეგობრულ გამოსვლას ათინაში და ბელგრადში მიზნადა აქვს მშვიდობიანობა ჩამოაგდოს ბულგარეთის უკიდურეს მდგომარეობის გამო, რადგანაც ეს საერთო სტატუს-ქვოს საფრთხეს უქადის.

ათინა. გაზ. „გესტია“ იცხადებს, რომ მეფე კონსტანტინემ უპასუხა რუმინიის მეფეს და აღნიშნა დაწვრილებით ის მოსაზრებანი, რომლის მიხედვითაც მან, მთავრობასთან ერთად, უარჰყო მშვიდობიანობის ჩამოგდებისათვის წინადადება, რომლის მიღებაც შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ბულგარეთი მიიღებს მოკავშირე სახელმწიფოთა წინადადებას. გერმანიის სამხედრო წარმომადგენელმა ათინაში, ბრძანება მიიღო გამოიძიოს მაკედონიაში ბულგარელებისაგან ჩადენილი სიმხეცე და მოახსენოს გერმანიის მთავრობას.

პორტ-საიდი. რეგენტმა გაუგზავნა დიდ ვეზირს ტელეგრამმა, რომელშიაც ულოცავს ადრიანოპოლისა და კირკილისეს აღებას.

ბელგრადი. სერბიელები გარს შემოერტყნენ ვიდინს. თუმცა ქალაქი დაცულია ბუნებრივი მდებარეობით, მაგრამ თავის დაცვა ბულგარელებისა დიდხანს ვერ გასტანს. გენერალ კუტინჩევის ჯარი მალე დამმოჩილდება. პიროტის მახლობლად სერბიელები გადავიდნენ ბულგარეთის საზღვარზე და დაიჭირეს ესტრაჩუკა და გოლემა-გლავის სიმაღლეები.

სკოპლე. ნიშში გაიარა საბერძნეთის ელჩად ნამყოფმა პანასმა, რომელიც მიდის სამშვიდობო მოლაპარაკებაში მონაწილეობის მისაღებად. გუშინ იქვე წავიდა ჩერნოგორიის პრემიერი ვუკოტიჩი.

ათინა. ათინის სააგენტო იტყობინება: სამხედრო სამინისტრომ შემდეგი დეპეშა მიიღო ჯარის მთავარსადგომიდან: ჯარის მარჯვენა ფრთა მისდევს მტერს და აიღო დობრინიშტუ და ბანიშტუ. მტერმა გაიწია უკან მახომიას იქით. ყველა სოფლები დატოვებულია მცხოვრებლებისაგან. ორი ცეცხლის მომკიდებელი ბოროტ-მომქმედი დაჭერილია ბოროტმოქმედების დროს და დაისჯებიან. სტრუმის ხეობაში ბერძნებმა დაიჭირეს ჩრდილოეთით გასასვლელამდის კრესინსკის უღელტეხილი, მტერმა, იერიშის შესაფერხებლად დაარღვია საპიორთა ნამუშევარი. ბერძნებმა ისევ შეაკეთეს დანგრეულები და წინ წავიდნენ.

ათინა. ხმები დადის, ბულგარელებმა დედაგაჩი დასტოვესო.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

12 ივლისი.

უცხოეთი

შანჰაი. კიდევ დამარცხდა სამხრეთელი ჯარი, რომელსაც იარაღის საწყობების ხელში ჩაგდება უნდოდა. განთიადისას სამხრეთელები ჩუმად გამოვიდნენ სადგომებიდან და გარეკეს შეამბოხეები დასავლეთისაკენ. მეზღვაურნი ჩრდილოელებს უჭერდნენ მხარს. ნანკინი ჩრდილოელებს დარჩათ.

ტოკიო. ტოკიო-ომარის შუა მატარებლების დაჯახების დროს დაშავდნენ 30 კაცი.

პარიზი. პალატამ მიიღო 1913 წ. ხარჯთ-აღრიცხვა.

ბრიუსელი. ბავშვთა დაცვის საერთა-შორისო კრებამ დაავალა ბელგიის მთავრობას, დაარსოს ბრიუსელში საერთაშორისო ბავშვთა დამცველი ცენტრი.

ლისაბონი. დომონტის უბანში იფეთქა ყუმბარამ. დაშავდა ხუთი ბავშვი.

სან-ხოზე. კოსტა-რიკაში დიდი აღელვება გამოიწვია ცნობამ, რომ სტატს სეკრეტარს ბრაჰიანს უნდა ჩრდილო-ამერიკის შტატების პროტექტორატი გაავრცელოს შუა ამერიკის შტატებზე. გაზეთები სავსეა საპროტესტო წერილებით. ყველა დაწესებულებებში საპროტესტო მიტინგები იმართება.

ლონდონი. რამდენიმე სუფრაჟისტკა, მოგზაურთა ტანისამოსში გადაცმული, შევიდნენ პარლამენტში, მაგრამ მალე იცნეს და მოკლე დროთი ბრძოლის შემდეგ პოლიციამ გამორეკა გარედ.

ვენა. დილით მოვიდნენ 30 რუსი ექიმი. დაათვალიერეს საავადმყოფოები. აქედან ლონდონს მიდიან პსიხიატრთა კონგრესზე.

რუსეთი

პეტერბურგი. მინისტრთა საბჭომ მისაღებად სცნო 31 დეპუტატების განზრახვა: მოწყალების დათა პენსიის უზრუნველყოფის შესახებ.

ცარიცინი. ნიაღვარმა და სეტყვამ, რომელიც კვერცხის ტოლა მოდიოდა მოსპო 5,000 დესეტინა ნათესი. მოკლა 5 კაცი.

სიზრანი. ნიაღვარმა და გრიგალმა წაიღო თითქმის ყველა ხიდები სოფელ დემიდოვკაში, საიდანაც მოიტანა 2 ბეღელი და სამქედლო.

პეტერბურგი. ჭირთან მებრძოლმა კომისიამ საშიშრად გამოაცხადა სამარის, სარატოვის და სტავროპოლის გუბერნიები. გზათა სამინისტრო იმუშავებს წყლის ძალის გამოყენების კანონ პროექტს. ძალის გამოყენება შეუძლიან მხოლოდ სახელმწიფოს.

კოლოგრივი. დაიწვა სოფელი დიდი და პატარა ვეჩერევო. დაიწვა 110 საცხოვრებელი სახლი. ბევრი საქონელი დაიღუპა.

პეტერბურგი. სამხედრო სამინისტროს უწყებაში გამოქვეყნდა ახალი კანონი შესახებ იმისა, თუ რამდენ წლამდის შეუძლიან იმსახურონ ჯარში და სამმართველოებში გენერლებსა, შტაბ და ობერ-პროკურორებს. წლოვანობითი ცენზი შემდეგად არის შემოღებული: 66 წელი—კორპუსის უფროსისათვის და პირველ ხარისხოვან ქალაქებისა და ციხეების კომენდანტებისათვის. 64 წელ.—მეორე ხარისხოვან კომენდანტებისაფვისა და ადგილობრივ ბრიგადების უფროსებისათვის. 62 წელ. ქვეითი ჯარის დივიზიის უფროსებისათვის, ადგილობრივ ბრიგადთა უფროსების თანაშემწეებისათვის, კავალერიის სათადარიგო ბრიგადების უფროსებისათვის, არტილერიის ოლქის უფროსებისათვის, ოლქებში არტილერიის ნაწილეობის გამგეობისათვის, საკორპუსო არტილერიის უფროსებისათვის, მესამე ხარისხოვან ციხეების კომენდანტებისათვის საინჟინერო ნაწილის ოლქის უფროსებისათვის, მესამე ხარისხოვან ციხეების უფროსებისათვის, საარტილერიო ციხეების უფროსებისათვის, საარტილერიო სამსროლელო სკოლების უფროსებისათვის საელექტროტექნიკო და საჰაერო-მფრინაო სკოლების უფროსებისათვის, აფიცერთა სკოლის საავიაციო განყოფილების უფროსებისათვის, მაზრის სათადარიგო უწყების უფროსებისათვის მალალ ხარისხისა, ბრიგადთა გამგეობის მორიგ შტაბ-აფიცრებისათვის; 60 წელ. საოლქო შტაბის უფროსებისათვის, ცხენოსან ჯარის დივიზიის უფროსებისათვის, ცხენოსან მხედართა სკოლის უფროსებისათვის, საარტილერიო ოლქების უფროსის თანაშემწეთათვის, ოლქებში საინჟინრო ნაწილის უფროსის თანაშემწეთათვის, ქვეითი ჯარას ცალკე ბრიგადების უფროსთათვის, საინჟინერო და სარკინიგზო ჯარში (. . . . . .) გვარდიის ქვეითი ჯარის-უფროსთათვის, მეცხოვნე და ველის არტილერიის უფროსებისათვის მეცხოვნე არტილერიის უფროსისათვის გენერალ-მაიორის ჩინში, მეცხოვნე ინჟინერთა სამმართველო უფროსებისათვის, საოლქო შტაბის მორიგი გენერლებისათვის, მსროლელთა ნაწილის ინსპექტორთან მყოფ გენერლებისათვის, საოლქო ჯარის უფროსებისათვის, სათადარიგო ცხენოსან ჯარის უფროსებისათვის, სამაზრო სათადარიგო უწყების უფროსებისათვის; 58 წელ.—ცხენოსან ჯარის ცალკე ბრიგადების უფროსებისათვის, ცხენოსან ჯარის დივიზიის ბრიგადების უფროსებისათვის, გვარდიის ცხენოსან ჯარის უფროსებისათვის, ქვეითი ჯარის ცალკე ნაწილების უფროსებისათვის, მეცხოვნე არტილერიის უფროსებისათვის, არტილერიის რაზმისა და დივიზიის უფროსებისთვის, დივიზიონის უფროსის თანაშემწეებისათვის, უმცროს შტაბ-ოფიცრებისათვის, სამაზრო სათადარიგო უწყების უფროსებისათვის უმცირეს ხარისხისა, სათადარიგო პარკების უფროსებისათვის; 56 წელ. ცხენოსან ჯარის პოლკის უფროსებისათვის, ბატარეიის უფროსებისათვის და შტაბ-ოფიცრებისათვის. 55 წელ. სარაზმო აფიცრებისათვის.

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! თქვენის გაზეთის საშუალებით ნება მიბოძეთ მადლობა გადაუხადო ყველა მას, რომელმაც აღმომიჩინა. როგორც მატერიალური დახმარება, ისე გულითადი თანაგრძნობა ჩემს დღევანდელ მდგომარეობაში. ვწუხვარ, რომ არ შემიძლიან ყველას სულ-გულით გადავუხადო მადლობა.

11 ივლისი ცხინ. ი. ევდოშვილი.

ჩვენმა რედაქციამ მიიღო და გადასცა ი. ევდოშვილს:

1) ივ. ზედგინიძისაგან . . 5 მ.
2) ლ. ბზვანელისაგან . . . 1 მ.
3) კაპ. ს. გლურჯიძისაგან . 2 მ.
4) ალ. იმერლიშვილისაგან შეკრეფილი ქვემო ქიზიყში . 42 მ.
5) სტუდ. ლ. რკინლაძის ეს. ინსარიძის აბასთუმანში შეკრებილი . . . . . 52 მ. 35 კ.
6) მურვანიშვილისაგან . . 10 მ.
7) იოს. ჯანგველაძის მიერ თვის ნაცნობთა შორის შეკრებილი . . . . . 8 მ. 60 კ.

კერძოთ მიღებია ევდოშვილს დავ. ჯორჯაძისაგან . . . . 25 მ. აბაშელის და ინგოროყვას მიერ პატარა ცემში შეკრებ. 43 მ. 50 კ. მ. კავსაძის მიერ ქარ. სათ. ბანკის მოხელეთა შორის შეკრებ. 9 მ.

სანახაოგა

ცირკი ძმ. ესიკოვებისა.

12 ამ თვეს დაიწყო გასტროლები 4 ეშმაკისა, რომელნიც თავისუფლად და გასაოცრად დაჰფრინავენ ჰაერში. ყოველ მათ მოქმედებას ჰაერში დამსწრენი ხანგრძლივის ტაშით და აღტაცებით ეგებებიან.

სხვა ნომრებიდან უფრო ყურადღების ღირსნი არიან, ოხუნჯები ძმანი ვენჩენკოები, რომელნიც ხალხს გულიანად აცინებენ, ჯამბაზი ნიკულინი, დები რაკსონი, რომელნიც გაწვრთნილ ძაღლებით გამოდიან და ათამაშებენ, ბულგარელი ქალი თამარი და სხვანი.

როგორც ამბობენ, ამ თხუთმეტი დღის შემდეგ მოიწვევენ ფრანგულ ჰიდაობის ჩემპიონატს, რომელშიაც იქნებიან გამოჩენილი მოჭიდავენი.

მ. ნ.

რედაქტორ-გამომცემელი
ა. ჯუმბაძე.

მატარებელთა მიმოსვლა
(ზაფხულობით)
18 აპრილიდან
(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** საღ. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარეკი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით დამის 4 ს. 23 წ.

ბათომისაკენ: № 3, **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **ჩქარი** პლაკაც. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარეკ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთი. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით დამ. 2 ს. 48 წ.

ბორჯომისაკენ: № 17, **სახ.** დილ. 8 ს. 2 წ. (15 მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

მცხეთაში: № 65, **საბაგარაკო** დილ. 8 ს. 46 წ., № 62,ბ **საბაგ.** ნაშუადღ. 2 ს. 43წ.

ეს მატარებელები ივლიან პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე კვირა-უქმე დღეობით. მატარებელი № 67, უქმის წინა დღეებშიაც. ტფილისში უკანვე დაბრუნდებიან № 65 შუადღ. 12 ს. 5 წ. და № 67 საღ. 8 ს. 28 წ.

ჯულფისკენ: **საფ.** № 4,3, შუადღ. 12 ს. 51 წ.

ყარსისკენ: **სახ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

ერევანისკენ: № 24,23, **საბარგ.-სამგზ.** საღ, 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: № 3, **საფ.** დილის 9 ს. 1 წ., № 11, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, საშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **ჩქარი**—პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარეკ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით დამის 2 ს. 12 წ.

ბათომიდან: № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** საღ. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარეკ.** დამ. 2 ს. 12 წ.

ექიმი ნინო ალბერტ. ლაძე (ქბილისა) იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს., ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახ. მაკარაშვილისა.

სახლი 25 მან. თვეში. შვიდი ოთახი, სამზარეულო, საწყობი, ეზო, სარდაფი. საბურთალოზე, დიდუბის ბორანის პირდაპირ „მასწავლებელ ქალთა თავშესაფარის“ გვერდით. ქირავდება ნაწილობითაც. იკითხეთ საბურთალოზე სევასტი მიხეილის ძე გაჩეჩილაძესთან, ან დიდუბის ბორანზე. 435

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დ ი ლ ი თ:
„606“ და „914“
11—12 ს. შეშხაპუნება
კონსულტაციურად.

მ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. ბაბანოვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. ბ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ო. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.
კ. დ. გურგენიძე. 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერიოლოგ. გამოკვლევა. საღამოობით 6—7 საათამდე.

საღამოთი:

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგეებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინისდოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
1004

გონორეის (სუსუნატის) წინააღმდეგ უანლესი საშუალება:
„SALO—PILLEN“.
სწრაფად და არსებითად მოქმედებს და, ექიმთა აზრით, გონორეულ საშუალებად ითვლება. დარიგება კოლოფში ოვს. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფებითა და ღირს 1 მ. და 1 მ. 80 კ.
აგრედვე კარგად მოქმედებს შეტად გართულებულ და დაძველებულ ავადმყოფობის დროს და ხულ მოკლე ხანში სპობა უწყვეტელ მდინარეობას.
დეპო: Петербургъ, разъѣзжая, № 7 аптека Б. Конгейма. იგზავნება ფასდადებით. გასაგზავნი ფოსტის ტარიფის მიხედვით. იშოვება საფთიაქო საქონლის კეკეტის საზოგადოების საავეროში.
Метль 22238. 1038

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘ:

მტრედი, შმიდტისა	10 კ.
მამის ერთგული	15 „
მეფე დიმიტრი თავდადებული	7 „
მოთხრობანი დ. კლდიაშვილისა	30 „
მგზავრის წერილები	7 „
ნაწყვეტები პოლიტ. ეკონომიიდან, ა. წულუკიძე	50 „
ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი	3 „
ოქროს მოყვარულნი	15 „
ოთარაანთ ქვრივი	18 „
რუსულ-ქართ. ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილ სა	2—40 „
რობინზონ კრუზე	30 „
რჩეული ლექსები ი. ჭავჭავაძისა	7 „
სალამური, კრებ. ზ. ჩხიკვაძისა	25 „
სვიის გვირგვინი	15 „
საყმაწვილო მოთხრ. ეკ. გაბაშვილისა	30 „
სახრჩობელაზე ი. ჭავჭავაძისა	5 „
საქართვ. ისტორია, ვახუშტისა	2 მ.—
სტატისტიკური ცნობ. საქ. შესახებ	2 მ.—
უსწავლური ამბავი	4 „
ფიზიკური გეოგრაფია, ია შვილისა	20 „
ქართვ. პოეტების რჩ. ლექსები	25 „
ქართ. სახ. სიმღერები ი. კარგარეთელი	50 „
ქართ. ეროვნული სიმღ. დ. არაყიშვ.	20 „
ჭაჯანა	5 „
ქილილა და დამანა	1 მ.—
ქართლის ცხოვრება მარიამ დედოფლის ვარიანტით	3 მ.—
ყვავილთა შორის	45 „
ყოველის მხრიდან, ნ. ლომოური	10 „
შინაური საქონელი და მისი მოვლა	5 „
შექსპირის დრამები, ს. ყიფიანი	20 „
ჩარლზ პარნელი	25 „
ცისარტყელა სალიტერატ. კრებული	15 „
წიგნის ისტორია, დ. კარიჭაშვილი	20 „

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 121.

გამოსულია და იყიდება
ნ. ᲖᲘᲣᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ
„ᲛᲔᲒᲝᲒᲠᲝᲒᲐ“, დრამა 4 მოქმედებ.
ᲤᲘᲔᲡᲐ ფასი 30 კაპ.

ᲝᲥᲠᲝᲡ ᲡᲐᲐᲗᲘ ᲥᲠᲝᲜᲝᲛᲔᲢᲠᲘ 56 ᲞᲠᲝᲒᲘᲡᲐ

200 მან. ღირებულ ოქროს საათის მაგიერ მხოლოდ 4 მ. 70 კ. მოგაწოდებთ საათს **ᲥᲠᲝᲜᲝᲛᲔᲢᲠᲘᲡ**, რომელიც ფასონით და სიკოხტავით არ ჩამოუვარდება ოქროსას, რადგანაც საუკეთესო სპეციალისტიც ძლივს გაარჩევს მას ოქროს საათიდან. ძალიან თხელი ააგია, სისქით ვერცხლის მანეთიანს უდრს. ნამდვილ ამერიკულ ახალ ოქროსაგან. თავის დღეში არ ჰკარგავს პირვანდელ სახეს. მორთულია როგორც სურათი (ბილიკ სურათი). საათი **ᲥᲠᲝᲜᲝᲛᲔᲢᲠᲘᲡᲐ** ქალის თუ კაცისა განირჩევა თავის სისწორით, ნამდვილი ანკერი 15 თვალით. მოერთება 40 საათში ერთხელ. ფირმის გავრცელების გულისათვის თითო საათს ვუნიშნავთ პრემიას უფასოდ 20 კარგ-ფასიან ნივთს: 1) საათის ჯაჭვი ნამდვილი ამერიკ. ოქროსაგან; 2) ბრელოკი-კინემატოგრაფი, რომელიც საინტერესო ქალებს აჩვენებს; 3) ზამშის საათის ბუდე; 4) ჟურდენისაგან დასაკეთი საათისა; 5—8) ჯიბის ტყავისაგან გაკეთებული ნესესერი 4 უსაგირეს ნივთებით; 9) ტყავის საფულე, საუღვარ-გარედ გაკეთებული 7 განყოფილებით; 10) შტემპელი, შემკვეთელის სახელით, მამის სახელით; 11) ბეჭდის მელანი 1 ჭიქა; 12) ფუნედი, სახელით და გვარით, საბეჭდავად გამოსადეგი ნამდვილი ამერიკულ ოქროსაგან. **დუბლე** 13) პარიზული პლასტოგრაფი, რომელიც ისე აჩვენებს, როგორც სინამდვილეში არსებობს; 14—19) ექსი საინტერესო სურათი ამისათვის; 20) სათეატრო ბინოკლი, 4 ახრომატიული. შუბით, ჩვეულებრივ სიდიდისა ახლოს აჩვენებს ძალიან ზორს მდებარეობას. სულ მხოლოდ 4 მ. 70 კ., 2 საათი 9 მ. 30 კ. ასეთივე ბრუთ მოგაწოდებ 5 მ. 70 კ., 2 საათი 11 მ. 20 კ. 6 წლის პირობით, ვაგზავნით ფასდადებით და უბეოდაც. გამოგზავნა 40 კ. ციმბირში 75 კ.

მისამართი: Складу часовъ Т—во „Аккуратность“, Варшава. отд. 94.
Метль 38225. 1363

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘ ᲗᲐᲠᲯᲘᲛᲐᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘᲗ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ

ᲛᲣᲓᲐᲛ ᲓᲦᲔ ᲛᲝᲒᲒᲕᲓᲘᲡ
თევზის მრეწველნი
ძმ.
ᲫᲔᲒᲕᲔᲚᲝᲕᲔᲑᲘ.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 7[illegible].

ᲐᲮᲐᲚ-ᲐᲮᲐᲚᲘ
მტკვრისა თართი, ზღვითი, ლობიო, და სუდაკი.
ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲡᲮᲕᲘᲚ-ᲛᲐᲠᲪᲕᲚᲝᲕᲐᲜᲘ
ᲮᲘᲖᲘᲚᲐᲚᲐ ᲩᲘᲢᲙᲐ
აგრედვე ყოველ დროს იყიდება **მალაზიაში მარტის დოში, იანი, ჯიპა, ზურგიელები,** სხვა ყოველ-ნაირი **თევზეულობა** და
კონსერვები.

ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲡᲐᲙᲕᲔᲑᲘ ᲪᲮᲔᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ
„ᲞᲐᲢᲝᲙᲡᲐᲜ“.

„პატოკსან“ შეიცავს 42% შაქარს (სრულიად რუსეთის შაქრის მრეწველთა ლაბორატორიის ანალიზი № 647.
„პატოკსან“ საუკეთესო საშუალებაა საქონლის ღონის შერჩენისათვის და შემატებისათვის (მოხსენება ექ. ოიტეიკოსი ლიეჟის შაქრის მრეწველთა კონგრესზე.
„პატოკსან“ ხელს უწყობს საქონელს და ცხენებს საქმლის მონელებაში, რაც თავის რიგად ეხ არება შრომის უნარისა და სიცოცხლის უნარის შემატებას.
„პატოკსან“ ხელ უწყობს რომ რძის მომცემ საქონელს რძე გაუმჯობესოს და დღიური ნაწველიც გაადიდოს.
„პატოკსან“ ფხვნილია და ამიტომ შეიძლება ადვილად გადაურიოთ ქერში და სხვა საქმელში.
„პატოკსან“ თავის ნოყიერების გამო ძალიან მარგებელია და ეკონომიური საქმელი.

ვინც მოისურვებს გაეგზავნება ერთი ფუთი 1 მ. 20 კ. გაგზავნის ფასს ვიხდით ჩვენ გაგზავნის დროს. ყოველგვარ ცნობა და მომხმარებლების აზრი უფასოდ იგზავნება ამიერ-კავკასიისათვის.

ერთად-ერთი წარმომადგენელი ამიერ-კავკასიისთვის **„გეორგი რუსინოვ** და **ამხ.“** ტფილისში, ვერის დალმართი № 12, ტელეფონი 11—37 და 11—77. დეპეშით მისამართი: „რუსინოვს—ტფილისი“. 1384.

მიტროფანე ლალიძის და ამხ.
ფრრიად სასაამოვნო ლობისათვის მარგელი და სურნელების
სამკურნალო
ᲬᲧᲐᲚᲘ
სასმელი და ჯანმრთელობელი. საამური გემო.
ᲮᲘᲚᲔᲣᲚᲘ,
და ᲛᲘᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ
მზადდება საუკეთესო ხილეულის წვნისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად განწმენდილ მასალებისაგან, გამოხდილ და ნადუღი წყალით
ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚ ᲡᲠᲣᲚᲘᲡᲢᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲗ.
რადგანაც ჩვენი ქარხნის წყალის ნაცვლად ხშირად **დაბალ ღირსების წყალს აწვდიან** პატივცემულ საზოგადოებას და აგრედვე გავრცელებულია ჩვენი ეტიკეტის მიმსგავსებანი, უმორჩილესად ვთხოვთ პატივცემულ საზოგადოებას, **ყურადღება მიაქციოს ბოთლებზე ჩვენს ეტიკეტ ქარხნის ნიშნით და აგრედვე თავსაცობს ზედ-წარწერით:**
„M. ᲚᲐᲒᲘᲫᲔ“.
ᲥᲐᲠᲮᲜᲔᲑᲘ: **ტფილისში, გოლოვ. პროსპ., № 6, ტელეფონი № 411;**
ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ, პუშკინის ქუჩა, № 5, ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 151.

ᲡᲘᲜᲙᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲛᲝᲛᲡᲐᲮᲔᲚᲝ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲗᲐ ᲐᲛᲮᲜᲐᲠᲘ
ᲕᲝᲒᲜᲘᲡᲐ ᲙᲘᲚᲘᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ **ᲙᲚᲘᲨᲔᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐᲡ**
ᲡᲐᲥᲘᲛᲔᲡ ᲐᲮᲠᲣᲚᲔᲑᲡ ᲓᲠᲝᲡᲗᲐᲜ ᲡᲣᲤᲗᲐᲓ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲘᲗ ᲤᲐᲡᲐᲓ.
ტფილისი, ვანქის დიდი ქუჩა, № 12. Тифлисъ Бол. Ванк. ул. № 12.
1009